



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების¹ შესახებ)

(შპს სკოლა-ლეცეუმი ლამპარი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე

წევრ(ებ)ი:

- ა) გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)
- ბ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) იოსები ლაზარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) მაკა ნადარეიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

¹ **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- ☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ გეგმიური

☐ არაგეგმიური



I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	208148930

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, კალოუზნის ქ. №10
საფოსტო ინდექსი	0182
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://ltdlampari.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	infolamparitamari@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	+995 032 2-45-57-02 +995 032 2-45-57-08

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 16.10.2024 წ. ბრძანება MES 5 24 0001333653
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	23 და 24 ოქტომბერი 2024 წელი



VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულებამ ვიზიტამდე გადმოაგზავნა ძალიან მცირე რაოდენობის დოკუმენტაცია და მტკიცებულება, რის გამოც შეუძლებელი იყო დაწესებულების სრულფასოვანი შეფასება.. გამოსათხოვი დოკუმენტაციის საერთო რაოდენობა 94 ერთეულს შეადგენდა. ამას დაემატა ვიზიტის დროს გამოკვეთილი ვითარებიდან გამომდინარე კიდევ რამდენიმე დოკუმენტისა და მტკიცებულების წარმოდგენის საჭიროება. მათი დიდი ნაწილი სკოლამ მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის დღის ბოლომდე, ამდენად მათი შესწავლა მოხდა ვიზიტის დასრულების შემდეგ, რის გამოც აღარც ექსპერტებს შეეძლოთ დამაზუსტებელი დოკუმენტების გამოთხოვის შესაძლებლობა და აღარ სკოლას ჰქონდა მისი წარმოდგენის საშუალება.

სკოლას გავაცანით საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების განრიგი. სკოლამ საგნობრივ ექსპერტებთან დისტანციურად ჩართვისთვის გამოყო ცალკე სივრცე, საიდანაც ზოგადი განათლების ექსპერტი-წევრი ახორციელებდა საგნობრივი ექსპერტებისა და სკოლის მასწავლებლების დისტანციური კავშირის ადმინისტრირებას. ვიზიტი ორივე დღე წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი დღის წესრიგით. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. მეორე დღის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი.

დაწყებითების ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაეცნო სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას და დამატებით გამოითხოვა ის დოკუმენტები, რომლებიც საჭირო იყო სკოლისთვის ავტორიზაციის მეორე სტანდარტის დასაკმაყოფილებლად დაწყებით საფეხურზე. მონაწილეობა მიიღო ავტორიზაციის ჯგუფის შეხვედრებში, სადაც კოლეგა ექსპერტებთან ერთად იმსჯელეს სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით სკოლის საერთო სურათზე, და დაგეგმეს ვიზიტის განრიგი. 23 ოქტომბერს საგნობრივ ექსპერტებთან (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და საზოგადოებრივი მეცნიერებები) დაესწრო შეხვედრას, შემდეგ კი წარიმართა ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის შესაბამისი საგნების პედაგოგებთან. მათ მიეცათ რჩევები და კიდევ გამოითხოვა დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ ექსპერტს მიაწოდა ვიზიტის დასრულებამდე. ის გაეცნო ამ დოკუმენტაციასაც, რომ სრული წარმოდგენა შექმნოდა აღნიშნული სკოლის სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაზე.

მან ასევე აღნიშნა, რომ გაეცნო საგნობრივი ექსპერტების მიერ გადმოგზავნილ საგნობრივი კურიკულუმების შეფასებებს, ისინი ერთობლივად შეჯერდნენ თუ როგორ აისახებოდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასება დასკვნის პროექტში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
190	115

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა მოსწავლეებისთვის, მასწავლებლების და ზოგადად სასკოლო საზოგადოების მიმართ. ამ გარემოს ქმნის სკოლის მართვისთვის დამახასიათებელი და ჩამოყალიბებული მონაწილეობითი კულტურით. კერძოდ, დაწესებულებაში ტრადიციად იქცა დაგეგმვისას მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, რასაც განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მშობლებიც და მოსწავლეებიც. ყოველივე ეს დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლა-სწავლების მოტივაციაზე, სკოლაში გაკვეთილებზე დასწრების სტატისტიკაზე.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა მათი უმეტესობა და 3.3.1.1.; 3.4.1.1.; 3.6.2.1.; დაწყებითი საფეხურის 2.1.2.1.; 2.1.2.2.; 2.1.2.3.; 2.1.2.4.; 2.1.2.5.; 2.2.1.1.; 2.2.1.3.; 2.2.2.1.; 2.2.2.3.; საბაზო საფეხურის 2.1.2.3.; 2.1.2.5.; 2.2.1.1.; 2.2.1.3.; 2.2.2.3. და საშუალო საფეხურის 2.1.2.3.; 2.1.2.5.; 2.2.1.1.; 2.2.1.3.; 2.2.2.3.; ხარვეზები გადავიდა სრულ შესაბამისობაში. რაც შეეხება პირველი სტანდარტის 1.1.1.3. და 1.1.1.4. ინდიკატორები და მესამე სტანდარტის 3.1.2.3. და 3.1.2.4. ინდიკატორები დარჩა ხარვეზებად არასაკმარისი მტკიცებულების წარმოდგენის გამო (კონკრეტულად იხ. შესაბამისი ინდიკატორის აღწერა).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება



	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სკოლამ ვერ დაასაბუთა მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა
ინდიკატორი N1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლამ ვერ დაასაბუთა, რომ მისია ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	მასწავლებელთა პირად საქმეებში არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი კანონის საფუძველზე მოთხოვნილი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები (იხ. ინდიკატორის აღწერა)



ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	ვერ დგინდება პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა, რადგან სკოლას არ აქვს განსაზღვრული პერსონალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (გარდა მასწავლებლისა და ექთნისა)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი



--	--	--

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).²

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

² გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	ხედვაში განსაზღვროს მიზნის მიღწევის ვადა, ამასთან მიზნები გახადოს გაზომვადი.
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	ერთწლიანი გეგმის ძირითადი (გარდა 2 აქტივობისა) ნაწილი შეესაბამება 7-წლიან სტრატეგიულ გეგმას, თუმცა, სასურველია, სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს ერთწლიანი გეგმა 7-წლიან გეგმასთან (იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება სკოლამ განახორციელოს მეთოდოლოგიაში გაწერილი წესის შესაბამისად ან მეთოდოლოგიაში გაწეროს ისე, როგორც ახორციელებს
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის სრულყოფისთვის შეიმუშაოს რეგულაციები, რომელიც პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად სკოლის აქტივობებს აღწერდა (იხ. ინდიკატორის აღწერა).



ინდიკატორი N3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები გააერთიანოს ერთ დოკუმენტში.
ინდიკატორი N3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/შობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	საჩივრის განხილვის წესში განსაზღვროს საჩივრების განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანის ვადები
ინდიკატორი N3.4.1.7.	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები	დოკუმენტში „კონფიდენციალობის პოლიტიკა“ გაითვალისწინოს ისეთ ინფორმაციის დაცვა, როგორიცაა ელექტრონული ფოსტაზე, ელექტრონული ჟურნალზე, სკოლის ვებგვერდზე წვდომის ინფორმაცია (პაროლები), ასევე სკოლის შესასვლელი კარის კოდის და სხვა ისეთი სახის ინფორმაციის დაცვა, რომელიც ხელს შეუშლის სკოლის ნორმალურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.1.1.3.	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	სკოლას ეძლევა რჩევა: ყველა მშობელთან განაახლოს ხელშეკრულება გადმოგზავნილი ნიმუშის შესაბამისად (იხ. ინდიკატორია აღწერა)
ინდიკატორი N4.1.2.3.	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ	მეტი საჯაროობის უზრუნველსაყოფად ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ გვერდზე.



	ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	
ინდიკატორი N4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი სამივე დოკუმენტი გააერთიანოს და შეიმუშაოს ერთი, რომელიც სამივე დოკუმენტის რეგულაციებს გააერთიანებს (იხ. ინდიკატორის აღწერა).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო საგნებში დააზუსტონ და გამოიჯონ ერთმანეთისაგან კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნება და მისაღწევი შედეგი და განათავსონ შესაბამის გრაფაში. საზოგადოებრივი მეცნიერების საგანში სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში, უკვე არსებულ კომპონენტებს, დაემატოს შემდეგი კომპონენტები: საგნობრივი კურიკულუმის განხორციელების მატერიალური რესურსი; მასწავლებლის/მასწავლებლების სახელი და გვარი თითოეულ კურიკულუმში; თემის ჯამური საათობრივი დატვირთვა; მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები. სასურველია მე-3 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმში საკითხების სვეტში ცარიელი ველების შესაბამისი შინაარსით შევსება ან ამის საჭიროების არ არსებობის შემთხვევაში მათი წაშლა.



		ჩვენი საქართველოს ორივე კურიკულუმში შუალედური მიზნები გაწერილია, ჯამში, 4 შემოქმედებითი პროდუქტის სახით, რომლიდანც 3 გულისხმობს ბუკლეტის შექმნას. მოსწავლეთა ინტერესების უკეთ გასათვალისწინებლად და სასწავლო პროცესში მეტი მრავალფეროვნებისთვის სასურველია სხვა ტიპის შემოქმედებითი პროდუქტების(პოსტერი, კომიქსი, დღიური, თხზულება და სხვ.) შეთავაზება. ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა მხოლოდ IV და VI კლასების კურიკულუმები, რომლებიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა სხვა კლასებში (I-II-III- V) გაურკვეველია, როგორ ხდება სწავლის შედეგების მიღწევა , ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, იმუშოს ყველა კლასში კურიკულუმის ჩარჩო - დოკუმენტის გათვალისწინებით. სასურველია, შუალედურ მიზანთან შესაბამის დავალებაში, გაიწეროს თემატურად შესაბამისი, კონკრეტული ლექსიკა და გრამატიკა. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებელს, იცოდეს, დავალების ფარგლებში რა ერთეულებზე უნდა იმუშაოს, რათა შედეგზე იყოს ორიენტირებული და მოსწავლეთა ძალები მიზნობრივად გააქტიუროს, კონკრეტული თემატიკის დასასწავლად. უცხოური ენების მიმართულებით: უმჯობესია კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება და თემატურ გეგმაში - თემატურ მატრიცაში გაწერილი კომპლექსური / შემოქმედებითი დავალება ვიდრე სხვა
--	--	--



		კომპლექსური დავალება, რადგან ეს დაეხმარება მასწავლებელს ზუსტად გადადგას ნაბიჯები შუალედური მიზნის მისაღწევად. მე-3 კლასი ინგლისური, მე-5 კლასი რუსული
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო საგნებში სასურველია შეარჩიოს მრავალფეროვანი აქტივობები და ყველა მათგანი მორგებული იყოს მოსწავლის ინტერესებს. სასურველია მე-3 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმში საკითხების სვეტში ცარიელი ველების შესაბამისი შინაარსით შევსება ან ამის საჭიროების არ არსებობის შემთხვევაში მათი წაშლა. ჩვენი საქართველოს ორივე კურიკულუმში შუალედური მიზნები გაწერილია, ჯამში, 4 შემოქმედებითი პროდუქტის სახით, რომლიდანც 3 გულისხმობს ბუკლეტის შექმნას. მოსწავლეთა ინტერესების უკეთ გასათვალისწინებლად და სასწავლო პროცესში მეტი მრავალფეროვნებისთვის სასურველია სხვა ტიპის შემოქმედებითი პროდუქტების (პოსტერი, კომიქსი, დღიური, თხზულება და სხვ.) შეთავაზება. სკოლამ ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა მხოლოდ IV და VI კლასების კურიკულუმები, რომლებიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა სხვა კლასებში (I-II-III- V) გაურკვეველია, როგორ ხდება სწავლის



		შედეგების მიღწევა , ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, იმუშოს ყველა კლასში კურიკულუმის ჩარჩო - დოკუმენტის გათვალისწინებით. სასურველია სპორტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა. უცხო ენების კურიკულუმში სასურველია, შუალედურ მიზანთან შესაბამის დავალებაში, გაიწეროს თემატურად შესაბამისი, კონკრეტული ლექსიკა და გრამატიკა. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებელს, იცოდეს, დავალების ფარგლებში რა ერთეულებზე უნდა იმუშაოს, რათა შედეგზე იყოს ორიენტირებული და მოსწავლეთა ძალები მიზნობრივად გააქტიუროს, კონკრეტული თემატიკის დასასწავლად. უცხოური ენების მიმართულებით: სასურველია, შუალედურ მიზანთან შესაბამის დავალებაში, გაიწეროს თემატურად შესაბამისი, კონკრეტული ლექსიკა და გრამატიკა. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებელს, იცოდეს, დავალების ფარგლებში რა ერთეულებზე უნდა იმუშაოს, რათა შედეგზე იყოს ორიენტირებული და მოსწავლეთა ძალები მიზნობრივად გააქტიუროს, კონკრეტული თემატიკის დასასწავლად.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სასურველია საბუნებისმეტყველო საგნებში სკოლამ მიიღოს რჩევად, რომ დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებაზე, ამგვარი სწავლების მიზანია რომ თითოეულმა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს თავისი



		შესაძლებლობების ფარგლებში, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ მოსწავლეები იყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს, აძლევენ მოსწავლეებს სხვადასხვა სახის დავალებებს. თუმცა არსადაა ასახული და სასურველია ასახონ როგორ ახდენენ დიფერენცირებას ან წარმოადგინონ რაიმე ტიპის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მაგ. შესაძლებელია მოსწავლე იყოს კინესთეტიკი მას აქვს უნარი გაამახვილოს ყურადღება ორ მოვლენაზე გონების და სხეულის მოქმედებაზე, ხოლო სხვა მოსწავლე შეიძლება სწავლობდეს უკეთესად , როდესაც ხედავს და როდესაც ისმენს. შესაბამისად საუკეთესო შედეგს მივაღწევთ , როდესაც ვახდენთ მოდიფიცირებას და ვთავაზობთ მოსწავლეებს მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე დავალებებს. საზოგადოებრივი მეცნიერების საგანში სასურველია პროექტული ტიპის (შემოქმედებითი პროდუქტი) დავალების პირობის ადაპტირება, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით, როგორც სსსმ (არსებობის შემთხვევაში), ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით გამოირჩევიან. ასევე, მნიშვნელოვანია პროექტული ტიპის დავალების მიცემისას მოსწავლეებს ჰქონდეთ არჩევანის შესაძლებლობაც თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტის სახით და როგორი ფორმით წარმოაჩინონ საკუთარი ცოდნა საგნობრივ საკითხთან მიმართებით. მაგალითად, ერთი და იგივე საკითხზე პროექტული ტიპის დავალების
--	--	--



		შესასრულებლად შევთავაზოთ ბუკლეტის ან პოსტერის შექმნა და საშუალება მივცეთ ნაშრომი წარმოადგინოს ელექტრონული ან მატერიალური სახით. სასურველია უცხო ენების კურიკულუმში / თემატურ გეგმაში - თემატურ მატრიცაში, ჩანდეს თემის ფარგლებში დავალებების ისეთი მრავალფეროვანი გამა, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ჩართვას და სწავლების პროცესის დიფერენცირებას.
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებშიც იყოს ინტეგრირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის გამჭვირვალებას.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	დააზუსტონ და გამიჯნონ ერთმანეთისაგან კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და პირობა, რადგან კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და აუცილებელია ყველა კომპონენტი შესაბამის გრაფაში განვითავსოთ. მაგალითად, ფიზიკისა და



		ბიოლოგია კურიკულუმებში ვხვდებით უზუსტობებს. სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში, უკვე არსებულ კომპონენტებს, დაემატოს შემდეგი კომპონენტები: საგნობრივი კურიკულუმის განხორციელების მატერიალური რესურსი; მასწავლებლის/მასწავლებლების სახელი და გვარი თითოეულ კურიკულუმში; თემის ჯამური საათობრივი დატვირთვა; მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები თითოეულ კურიკულუმში. სკოლამ ქართულ ენასა და ლიტერატურაში საბაზო საფეხურზე წარმოადგინა მხოლოდ VIII და IX კლასების კურიკულუმები, რომლებიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა VII კლასში როგორ ხდება სწავლის შედეგების მიღწევა , გაურკვეველია , ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, VII კლასშიც იმუშაოს კურიკულუმის ჩარჩო - დოკუმენტის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმების შედგენისას მეტი აქცენტი გააკეთდეს კეთებით სწავლებასა და კვლევითი



		ექსპერიმენტების დაგეგმვა-გახორციელებაზე , მით უმეტეს, რომ მატერიალური რესურსი, ლაბორატორიის სახით, სკოლას აქვს. სასურველია კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მასწავლებლებმა დაგეგმონ და განახორციელონ არაფორმალური აქტივობებიც, რათა მოსწავლეებში თვალსაწიერის გაფართოებას, ცნობიერების ამაღლებასა და მოტივაციის ზრდას შეუწყონ ხელი. მნიშვნელოვანია მე-7 კლასის ისტორიისა და მოქალაქეობის და მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმებში საკითხების სვეტში ცარიელი ველების შესაბამისი შინაარსით შევსება. ასევე, სასურველია მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში ზედმეტი ველების წაშლა. სასურველია საბაზო საფეხურის სპორტის კურიკულუმში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სასურველია საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში ასახონ როგორ ახდენენ დიფერენცირებას. საზოგადოებრივი მეცნიერებებში სასურველია პროექტული ტიპის (შემოქმედებითი პროდუქტი)



		დავლების პირობის ადაპტირება, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით, როგორც სსსმ (არსებობის შემთხვევაში), ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით გამოირჩევიან. ასევე, მნიშვნელოვანია პროექტული ტიპის დავლების მიცემისას მოსწავლეებს ჰქონდეთ არჩევანის შესაძლებლობაც თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტის სახით და როგორი ფორმით წარმოაჩინონ საკუთარი ცოდნა საგნობრივ საკითხთან მიმართებით. მაგალითად, ერთი და იგივე საკითხზე პროექტული ტიპის დავლების შესასრულებლად შევთავაზოთ ბუკლეტის ან პოსტერის შექმნა და საშუალება მივცეთ ნაშრომი წარმოადგინოს ელექტრონული ან მატერიალური სახით. უცხოური ენების მიმართულებით: სასურველია კურიკულუმში / თემატურ გეგმაში - თემატურ მატრიცაში, ჩანდეს თემის ფარგლებში დავალების ისეთი მრავალფეროვანი გამა, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ჩართვას და სწავლების პროცესის დიფერენცირებას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე სკოლამ შეიმუშოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები როგორც ზოგადი სახით, ისე თემებთან მიმართებაში.



ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	საზოგადოებრივ მეცნიერებებში სასურველია რეალური დავალებების რაოდენობა სრულად აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში და მათთან შესაბამისობაში იყოს დაგეგმილი სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, კურიკულუმების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ: 1) მე-8 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმი რეალურად მე-8 კლასის ისტორიის კურიკულუმია, აქედან გამომდინარე, ორი მე-8 კლასის კურიკულუმია, რომლიდანაც ერთში გაწერილია 2 პროექტული ტიპის დავალება, ხოლო მეორეში - 5. ამასთან, აღნიშნულ კურიკულუმებში ერთი და იგივე საკითხზე (ბიზანტიის/კონსტანტინეპოლის დაცემა) სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაა განსაზღვრული (ერთში დღიური და მეორეში - თხზულება); 2) მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმის ფაილში კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მოცემულია 3 პროექტული ტიპის დავალება მოსწავლის ბარათისა და თემატური მატრიცის სახით, რომელიდანაც კურიკულუმში მხოლოდ ერთია გაწერილი (ვირტუალური ტური) ოღონდ ისიც შეუსაბამო ველში; 3) მე-7 კლასის კურიკულუმის ფაილში მოცემულია მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმებიც, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მითხრეს, რომ, ტექნიკურად, გამორჩათ წაშლა და შეფასებისას ისინი არ უნდა გამეთვალისწინებინა; 4) სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროექტი „ჩავანაცვლოთ ბულინგი მეგობრობით“ მე-7 კლასის მოსწავლეებისთვის. პროექტის ავტორების მიერ განსაზღვრულია პროექტის კავშირი მე-7 კლასის თემა სასკოლო
---	---	--



		გარემო სასკოლო საზოგადოებასთან და სამიზნე ცნებებთან: საზოგადოება, დემოკრატია და სამოქალაქო მონაწილეობა. თუმცა მე-7 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში მხოლოდ თემა და საკითხია გაწერილი და მითითებული არ არის არც პროექტული დავალების იდეა (ფლერების/პლაკატების შექმნა) და არც შესაბამისი ძირითადი და დამხმარე რესურსები. მნიშვნელოვანია, რომ საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებმა კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში განავითარონ სისტემური მიდგომები და ორგანიზების ხარისხი, რაც სამომავლოდ გამოირიცხავს ზემოაღნიშნული სახის პრობლემებს. უცხოური ენების მიმართულებით: სასურველია ამ მიმართულებით სკოლას ჰქონდეს სასწავლო პროცესის ამსახველი სრული დოკუმენტაცია, შესრულებული კომპლექსური დავალება / მისი შეფასება. ასევე მასწავლებელთა ანგარიშები, სადაც გამოჩნდება, თუ როგორ იგეგმება და ხორციელდება სასწავლო პროცესი.
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივ მეცნიერებებში მნიშვნელოვანია საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების შეფასების პრაქტიკის და შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესება.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	უცხოური ენების მიმართულებით: სასურველია, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, კურიკულუმის გაწერამდე, და მისი გამოყენებისას გადამოწმდეს ყველა ბმულის ფუნქციონირება და მისაწვდომობა.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	დააზუსტდეს და გამიჯნოს ერთმანეთისაგან კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და პირობა, რადგან კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და აუცილებელია ყველა კომპონენტი შესაბამის გრაფაში განვათავსოთ. მაგალითად, ფიზიკისა და ბიოლოგია კურიკულუმებში ვხვდებით უზუსტობებს. საზოგადოებრივ მეცნიერებებში სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში, უკვე არსებულ კომპონენტებს, დაემატოს შემდეგი კომპონენტები: საგნობრივი კურიკულუმის განხორციელების მატერიალური რესურსი; მასწავლებლის/მასწავლებლების სახელი და გვარი თითოეულ კურიკულუმში; თემის ჯამური საათობრივი დატვირთვა; მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები თითოეულ კურიკულუმში.



		სასურველია საშუალო საფეხურის სპორტის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმების შედგენისას მეტი აქცენტი გააკეთდეს კეთებით სწავლებასა და კვლევითი ექსპერიმენტების დაგეგმვა-გახორციელებაზე . სასურველია კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მასწავლებლებმა დაგეგმონ და განახორციელონ არაფორმალური აქტივობებიც, რათა მოსწავლეებში თვალსაწიერის გაფართოებას, ცნობიერების ამაღლებასა და მოტივაციის ზრდას შეუწყონ ხელი. მნიშვნელოვანია მე-10 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმის საკითხების სვეტში ცარიელი ველების შესაბამისი შინაარსით შევსება ან ამის საჭიროების არ არსებობის შემთხვევაში მათი წაშლა. ზოგადად კურიკულუმის ჩარჩო ტექნიკურად ძალიან მოუწესრიგებელია და ბევრი გამოუყენებელი გრაფა დატოვებული. მნიშვნელოვანია საფეხურის ყველა კლასის ყველა საგნისთვის შემუშავებული იყოს საგნობრივი კურიკულუმი და თითოეულ კურიკულუმში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული



		შუალედური მიზნები, რომლებიც წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა მხოლოდ XI და XII კლასების კურიკულუმები, რომლებიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა X კლასში როგორ ხდება კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, გაურკვეველია დოკუმენტის არარსებობის გამო, ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი X კლასისთვის და იმუშოს მის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სასურველია საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში ასახონ როგორ ახდენენ დიფერენცირებას ან წარმოადგინონ რაიმე ტიპის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საზოგადოებრივ მეცნიერებების საგნებში სასურველია პროექტული ტიპის (შემოქმედებითი პროდუქტი) დავალების პირობის ადაპტირება, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით, როგორც სსსმ (არსებობის შემთხვევაში), ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით



		გამოირჩევიან. ასევე, მნიშვნელოვანია პროექტული ტიპის დავალების მიცემისას მოსწავლეებს ჰქონდეთ არჩევანის შესაძლებლობაც თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტის სახით და როგორი ფორმით წარმოაჩინონ საკუთარი ცოდნა საგნობრივ საკითხთან მიმართებით. მაგალითად, ერთი და იგივე საკითხზე პროექტული ტიპის დავალების შესასრულებლად შევთავაზოთ ბუკლეტის ან პოსტერის შექმნა და საშუალება მივცეთ ნაშრომი წარმოადგინოს ელექტრონული ან მატერიალური სახით. სასურველია უცხო ენების კურიკულუმში / თემატურ გეგმაში - თემატურ მატრიცაში, ჩანდეს თემის ფარგლებში დავალებების ისეთი მრავალფეროვანი გამა, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ჩართვასა და სწავლების პროცესის დიფერენცირებას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს წინასწარ ჰქონდეს გადაწყვეტილი შეფასების მიზანი მოსწავლის პროგრესის ჩვენება და მისი პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფაა თუ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრა.



		შესაბამისად, მასწავლებელი თითოეულ დავალებასთან მიმართებით ჩამოყალიბებული უნდა იყოს რა ტიპის შეფასება უნდა გამოიყენოს საჭიროებიდან გამომდინარე: განმავითარებელი, განმსაზღვრელი თუ განმსაზღვრელი განმავითარებელი მიზნებისთვისაც. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა უნდა გააკეთოს შესაბამისი რუბრიკა და მასში გაწერილი შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ დაუკავშიროს შერჩეულ სტანდარტის შედეგებს, რათა დაცულ იქნას ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სასურველია, საშუალო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლამ შეიმუშოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები როგორც ზოგადი სახით, ისე თემებთან მიმართებაში.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ საფეხურის ყველა კლასის ყველა საგნისთვის შემუშავდეს საგნობრივი კურიკულუმები და რეალური დავალებების რაოდენობა სრულად აისახოს კურიკულუმებში და მათთან შესაბამისობაში იყოს დაგეგმილი სასწავლო პროცესი. ასევე, სასურველია, რომ საგნობრივი ჯგუფის



		მასწავლებლებმა კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში განავითარონ სისტემური მიდგომები და ორგანიზების ხარისხი. უცხოური ენების მიმართულებით: სასურველია ამ მიმართულებით სკოლას ჰქონდეს სასწავლო პროცესის ამსახველი სრული დოკუმენტაცია, შესრულებული კომპლექსური დავალება / მისი შეფასება. ასევე მასწავლებელთა ანგარიშები, სადაც გამოჩნდება, თუ როგორ იგეგმება და ხორციელდება სასწავლო პროცესი.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	უცხოური ენების მიმართულებით: უცხოური ენის საგნობრივ კურიკულუმებში, საშუალო საფეხრზე, სასურველია გაიწეროს დამატებითი რესურსი, თემისა და შუალედური დავალების შესაბამისად. აღნიშნული გაამარტივებს მიზანზე ორიენტირებას, ამასთანავე საგნის სწავლების პროცესს გახდის მეტად ორგანიზებულსა და შეთანხმებულს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარის (შემდგომში „სკოლა“) მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ხედვა წარმოადგენს მისიასავით გრძელვადიან, ზოგად მიზანს. მასში, როგორც მისიის მიღწევის შუალედური მიზნისთვის (მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზების გზის), არ არის ხედვის მიღწევის ვადა განსაზღვრული, ამასთან მიზნები არ არის გაზომვადი, რის გამოც ხედვა აღიქმება, როგორც მისიასავით ზოგადი, მიზნების დეკლარირება. ხედვა, რომ არ უნდა იყოს გრძელვადიანი, ამის შესახებ სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესში, სადაც დაგეგმვის ეტაპებად (მუხლი 2) უწერია, რომ „სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპია სკოლის მისიის განაცხადისა და ღირებულებების შემუშავება (არსებობის შემთხვევაში - მათი გადახედვა)“, ასევე ხედვის განსაზღვრა ან გრძელვადიანი ხედვის არსებობის შემთხვევაში - მისი გადახედვა“. ამავე დოკუმენტში (მუხლი 9) განმარტებულია, რომ „7. ხედვა ყალიბდება დროის განსაზღვრული პერიოდისათვის და იცვლება აღნიშნული დროის ამოწურვის შემდეგ ან უფრო ადრე, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე“, საიდანაც ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს ხედვის არსი.

სკოლას ეძლევა რჩევა: ხედვაში განსაზღვროს მიზნის მიღწევის ვადა, ამასთან მიზნები გახადოს გაზომვადი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას მისიაში განსაზღვრული აქვს რომ მისია მიიღწევა ჯანსაღი და უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირებით, სადაც სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვაზე. ეს გარემოება საფუძველს ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ მისიის, ხედვის და ღირებულებების შესამუშავებლად შექმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება 01/23, 30.10.2023), რომლის შემადგენლობაში იყვნენ სასკოლო საზოგადოების 12 წარმომადგენელი. მათგან, სკოლის ადმინისტრაციის 4 წევრი, სამივე საფეხურიდან თითო მასწავლებელი, ასევე სამივე საფეხურის წარმომადგენელი მშობელი და საბაზო და საშუალო საფეხურის თითო მოსწავლე. სკოლის **სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესის** მიხედვით (მუხლი 9, პუნქტი 8), „**8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით:**

ა) სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება;

ბ) პროექტების გაზიარება დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისთვის;

გ) დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისგან მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;

დ) მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირება;

ე) შემუშავებული განაცხადების წარდგენა დირექტორისთვის და გაზიარება დაინტერესებული მხარეების ფართო წრისთვის.“ სკოლას ეთხოვა წარმოედგინა სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ამსახველი რაიმე დოკუმენტი, მაგრამ სკოლამ ვერ წარმოადგინა. მით უმეტეს, რომ ასეთი დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება სკოლას აქვს „**სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესში**“ გაწერილი სამუშაო ჯგუფის მოვალეობებში (მუხლი 6, პუნქტი 3 და 6), რომელშიც აღნიშნულია, რომ „3. (ჯგუფის თავმჯდომარე) უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების შეხვედრებისა და საოქმო ჩანაწერების ორგანიზებას“; და „6. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სამუშაო ჯგუფის სხდომის თავმჯდომარე და სამუშაო ჯგუფის მდივანი“. აქედან გამომდინარე, მართალია სკოლას აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები; მათ შესამუშავებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფის ბრძანება, მაგრამ ვერ დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნა - სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში.

სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში გადმოგზავნილი წერილიდან სკოლა იტყობინება, რომ შექმნილი ჰყავდა სამუშაო ჯგუფი და ასახელებს სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებას, რომელიც ექსპერტთა ჯგუფსაც აქვს მოხსენიებული ინდიკატორის აღწერით ნაწილში. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად დამატებით გადმოგზავნა მშობელთა კრების



ოქმი, როგორც მტკიცებულება. აღნიშნულ მშობელთა კრების ოქმში, დღის წესრიგის პირველი საკითხის (მიმდინარე სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა, შინაგანაწესის, სამოქმედო გეგმის გაცნობა) განხილვისას კლასის დამრიგებელი აცხადებს, რომ „მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში და გაზიარებაში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა ყველა მშობელს სკოლის მხრიდან და კიდევ ერთხელ შევახსენე, რომ გაზიარებულია ასევე ვებ გვედრზე და სოციალურ ქსელებში არსებულ კლასის მშობელთა გვერდზე“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩანაწერით უშუალოდ ვერ დასტურდება მშობელთა ჩართულობა მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში, ის შეიძლება არაპირდაპირი მტკიცებულებად ჩაითვალოს, ის ვერ ჩაითვლება საკმარის მტკიცებულებად (საკმარისობის პრინციპი დაცულია, თუ მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა ცალსახად ადასტურებს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ფაქტს. სტანდარტთან შესაბამისობის დადასტურება ყოველთვის არ ხდება ერთი მტკიცებულებით, არამედ შესაძლოა მტკიცებულებათა ერთობლიობა გახდეს საჭირო). ამასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფი სკოლისგან მტკიცებულების სახით ითხოვდა სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას, რომელიც მას უნდა ეწარმოებინა „სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესის“ მე-6 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების საფუძველზე (იხ. ამავე ინდიკატორის აღწერითი ნაწილი), რაც სკოლას არ წარმოუდგენია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის

4. როგორც წინა ინდიკატორის აღწერაში აღინიშნა სკოლის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების ეტაპი მართალია მოიცავს შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის და იქიდან მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინებას, მაგრამ სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ეტაპების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის წარმომადგენელმა ვიზიტის დროს განმარტა, რომ ჰქონდათ მშობლებთან დაგზავნილი კითხვარები (მატერიალური სახით), რომლებიც გადმოაგზავნა კიდევ ვიზიტის დროს, თუმცა აღნიშნული კითხვარი ეხებოდა სკოლის მომსახურების კმაყოფილების კვლევას და არა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარებას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს მშობელთა მცირე ნაწილთან (7 წარმომადგენელი) ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ ისინი არ მონაწილეობდნენ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესში.

სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში გადმოგზავნილი წერილიდან სკოლა იტყობინება, რომ შექმნილი ჰყავდა სამუშაო ჯგუფი და ასახელებს სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებას, რომელიც ექსპერტთა ჯგუფსაც აქვს მოხსენიებული ინდიკატორის აღწერით ნაწილში. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად დამატებით გადმოგზავნა მშობელთა კრების ოქმი, როგორც მტკიცებულება. აღნიშნულ მშობელთა კრების ოქმში, დღის წესრიგის პირველი საკითხის (მიმდინარე სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა, შინაგანაწესის, სამოქმედო გეგმის გაცნობა) განხილვისას კლასის დამრიგებელი აცხადებს, რომ „მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში და გაზიარებაში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა ყველა მშობელს სკოლის



მხრიდან და კიდევ ერთხელ შევახსენე, რომ გაზიარებულია ასევე ვებ გვედრზე და სოციალურ ქსელებში არსებულ კლასის მშობელთა გვერდზე“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩანაწერით უშუალოდ ვერ დასტურდება მშობელთა ჩართულობა მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში, ის შეიძლება არაპირდაპირი მტკიცებულებად ჩაითვალოს, ის ვერ ჩაითვლება საკმარის მტკიცებულებად (საკმარისობის პრინციპი დაცულია, თუ მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა ცალსახად ადასტურებს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ფაქტს. სტანდარტთან შესაბამისობის დადასტურება ყოველთვის არ ხდება ერთი მტკიცებულებით, არამედ შესაძლოა მტკიცებულებათა ერთობლიობა გახდეს საჭირო). ამასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფი სკოლისგან მტკიცებულების სახით ითხოვდა სამუშაო ჯგუფის მუშაობის ეტაპების ამსახველ დოკუმენტაციას, რომელის მიხედვით გაზიარება ნიშნავს (და სწორედაც აქვთ განსზღვრული რას ნიშნავს გაზიარება) ბ) პროექტების გაზიარება დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისთვის; და გ) დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისგან მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; მხოლოდ ვებ-გვერდზე და სოციალურ ჯგუფში გამოქვეყნება არ ნიშნავს გაზიარებას. სკოლას უნდა წარმოედგინა კითხვარებით მიღებული უკუკავშირები, რაზეც საუბარია ინდიკატორის აღწერით ნაწილში, რაც სკოლას არ წარმოუდგენია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის

5. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დასახელება „შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი“ შეესაბამება მისი სტატუსის კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესი
- სკოლის ვებგვერდი - <https://itdlampari.ge/new/> ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი (ზოგან ნახსენებია როგორც სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესი), რომელშიც აღნიშნულია, რომ „სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით.“. გარდა ამისა, ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლში გაცხადებულია, რომ სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას ითვალისწინებს პრინციპებს, რომელთა შორის დასახელებულია ა) თანამონაწილეობა და ბ) დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის 7-წლიანი (2023-2030 წლების), ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მისი ძირითადი ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ swot ანალიზს. თუმცა, მეტად შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ერთწლიან გეგმაში დაემატოს სტრატეგიული მიმართულება „სასკოლო საზოგადოების ჩართულობა“, რომელიც სკოლას გათვალისწინებული აქვს 7-წლიან გეგმაში და მისი განხორციელების აქტივობები დაგეგმილი სრულად 7 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ორივე გეგმაში არის ერთი სტრატეგიული მიმართულება, რომელიც მსგავსია, მაგრამ არ არის მეორეში, კერძოდ:

7-წლიან გეგმაში არის სტრატეგიული მიმართულება „ორგანიზაციული განვითარება“, (ეს სტრატეგიული მიმართულება არ არის ერთწლიანში) რომლის ამოცანებია:

- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სკოლის ცნობადობის გაზრდა;
- სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება.

ხოლო ერთწლიანში არის სტრატეგიული მიმართულება „სკოლის ინსტიტუციური განვითარება“, (რომელიც არ არის 7-წლიანში), რომლის ამოცანები მოიცავს:

- შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნა/ცვლილებების შეტანა;
- დემოკრატიული მმართველობითი პროცესების დანერგვა/განხორციელება;
- მშობლებთან ურთიერთობის ფორმების დახვეწა;

- მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება; და სხვა

სკოლას ეძლევა რჩევა: სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს ერთწლიანი გეგმა 7-წლიან გეგმასთან

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ამოცენების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები, აქტივობის შესრულების ვადები და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესში;
- დირექტორის ბრძანება „სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სტრატეგიული გეგმა (2023 -2033 წწ)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025 წწ.).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესში გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასება. წესის მიხედვით სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - ივნისსა და დეკემბერში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია



2. სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას, რის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესში, როგორც წინა ინდიკატორის აღწერაში აღინიშნა, სკოლას განსაზღვრული აქვს სამოქმედო გეგმის ორჯერადი (დეკემბერში და ივნისში) შეფასება. ასევე განსაზღვრული აქვს სტრატეგიული გეგმის ყოველწლიური შეფასებაც, რაც სკოლამ არ წარმოადგინა, ვიზიტის დროს, თუმცა გასული სტრატეგიული პერიოდის (2018-2023 წწ) ანგარიში გაკეთებული აქვს და სკოლის ვებგვერდზეც აქვს ატვირთული. **სკოლას ეძლევა რჩევა:** სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება სკოლამ განახორციელოს მეთოდოლოგიაში გაწერილი წესის შესაბამისად ან მეთოდოლოგიაში გაწეროს ისე, როგორც ახორციელებს ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ასაჯაროებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შედეგებს ანგარიშის სახით, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომ ფორმაში გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა გასული წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებს იყენებს მომავალი წლის დაგეგმვისას, ეს ჩაწერილი აქვს სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესში და განხორციელებული აქვს როგორც როგორც ე.წ. „სვოტ ანალიზის“ გაკეთებისას, ასევე თვით ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვისა და მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების წესში;
- სკოლის ვებგვერდი <https://ltdlampari.ge/> .
- სკოლის swot ანალიზი;
- 2023-2024 სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- 2018-2023 სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დებულების მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სკოლის დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს სკოლის ადმინისტრაციას. დებულებაში მოცემულია ამ სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები-მოვალეობები. დოკუმენტში, თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და არ იწვევს ურთიერთგადაფარვას. საბოლოო ჯამში, მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება;
- სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დოკუმენტი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს აღწერს. დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, ამოცანები, პერსონალის მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, კადრების მოზიდვა და შერჩევა, თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, შესრულებული სამუშაოს ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება, პროფესიული განვითარება, მოტივაცია, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დასკვნითი დებულებები. გარდა ამისა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც არ არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია



2. შინაგანაწესში არის მუხლი „სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი“, რომელიც პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის განსახორციელებლად გარკვეულ სასარგებლო რეგულაციებს შეიცავს. კერძოდ, აღწერს თანამშრომელთა ვალდებულებებს რა უნდა მოიმოქმედოს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში. ამის შემდეგ, როგორც სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, იღებენ ზომებს ამ თანამშრომლის ჩანაცვლების უზრუნველსაყოფად, თუმცა ეს ჩანაცვლების წესი აღარაა აღწერილი. მაგრამ, სკოლას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელთა ჩანაცვლება/შენაცვლების განხორციელებისა. რაც შეეხება სხვა პერსონალი ჩანაცვლებას, ამ მიმართულებით სკოლამ ვერ წარმოაჩინა საკუთარი პრაქტიკა საუკეთესო დონეზე, რაც გამოიხატება იმ გარემოებით, რომ ვიზიტის დროს, სკოლაში, ავადმყოფობის გამო არ იმყოფებოდნენ ბიბლიოთეკარი და სკოლის ექთანი, რის გამოც მათი საქმიანობის ამსახველი პრაქტიკის ექსპერტთა ჯგუფისთვის გასაცნობად სკოლის 2-3 თანამშრომელი იყო ჩართული, რადგან არ იყო განსაზღვრული მათი ჩანაცვლების წესი, თუმცა მათი ჩანაცვლება მოახერხა სკოლამ. ანუ **თანამშრომლების მხრიდან შეტყობინების წესი გაწერილია და მოქმედებს, ხოლო სკოლის მხრიდან პრევენციის უზრუნველსაყოფად წესი არ არის გაწერილი, მაგრამ ჩანაცვლება და შენაცვლება ხორციელდება**. სკოლას ეძლევა რჩევა: პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის სრულყოფისთვის შეიმუშაოს რეგულაციები, რომელიც პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად სკოლის აქტივობებს აღწერდა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დოკუმენტში - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, გაწერილია სკოლაში მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მიღების წესი. ამ წესის მიხედვით პერსონალი შეირჩევა გასაუბრების, ხოლო მასწავლებლები - კონკურსის საფუძველზე, რომელიც არ ეწინააღმდეგება “მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებას. აღნიშნული წესის პრაქტიკაში განხორციელების ერთ-ერთი მტკიცებულებასთან (teacherjobs.ge-ზე ვაკანსიის ნახვა) დაკავშირებით სკოლამ განაცხადა, რომ ცნობილი შემთხვევის გამო მათი ყველა ვაკანსია აღნიშნული პორტალიდან წაშლილია, ამიტომ, ვაკანსიის სათანადო წესით განხორციელების დასადასტურებლად სკოლას ეთხოვა ვიზიტის დროს გადმოსაგზავნა დოკუმენტებთან ერთად გადმოეგზავნა ერთი სრულყოფილი დოკუმენტების კრებული, რომელიც ასახავდა ვაკანსიის გამოცხადებას, საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებას, კომისიის ოქმებს და სხვა დოკუმენტაციას, რომელიც საჭირო გახდა კონკურსის ჩატარების დროს, თუმცა სკოლამ გადმოაგზავნა კონკურსის გამოცხადების ბრძანების ნიმუში, რაც ვერ ჩაითვლება პერსონალის შერჩევის მტკიცებულებად. სკოლის ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომლებშიც სრულყოფილად არაა წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი. კერძოდ „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ ცნობა წარმოსადგენი აქვს 8

თანამშრომელს, ხოლო ცნობა „საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ“ 30 თანამშრომელს. ამ ფაქტისა და საკონკურსო მასალების წარმოდგენილობის გამო, რადგან ვერ დადასტურდა სკოლის მიერ განხორციელებული პერსონალის შერჩევის პოლიტიკა ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა საკონკურსო კომისიის დოკუმენტაცია (ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და საკონკურსო კომისიის ოქმები), რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს, თუმცა ხარვეზის მეორე ნაწილის დასაკმაყოფილებლად სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ 5 თანამშრომლის ცნობები ინდიკატორის აღწერით ნაწილში კი მითითებულია, რომ უნდა წარმოედგინა 8 პერსონალზე „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ ცნობა ხოლო ცნობა „საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ“ 30 თანამშრომელზე, რის გამოც ხავეზის მეორე ნაწილი დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის

4. სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა და ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაციები რეგულირებადია და სახელმწიფოსგანაა დადგენილი, თუმცა დაკმაყოფილებულია თუ არა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანარჩენი დასაქმებული თანამშრომლების შემთხვევაშიც, ვერ დგინდება, რადგან სკოლას არ აქვს განსაზღვრული მათი თანამდებობრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. იგივე შეეხება იმ თანამდებობებს, რომლებიც სკოლას განსაზღვრული აქვს დებულებაში, მაგრამ ვიზიტის დროს მათი თანამდებობები დაკავებული არ იყო (მაგალითად: ფსიქოლოგი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, დარაჯი).

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტში განმარტავს, რომ აგზავნის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების ბრძანებას (მოლოდ ბრძანებას!) და გადმოაგზავნა დოკუმენტი (PDF - ფორმატში, ზომა - 440 KB), რომელსაც აწერია „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“, თუმცა აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი იდენტურია მეორე გადმოგზავნილი დოკუმენტისა, რომელსაც აწერია „საგანგებოს თანხმობა“. როგორც ჩანს სკოლამ ტექნიკური შეცდომა დაუშვა ფაილების გამოგზავნისას, თუმცა ამის გამო, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას ხარვეზი ჩათვალოს გამოსწორებულად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის

5. სკოლის სტრუქტურული კოლეგიური ორგანოები ერთეულებია (პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი) რომელთა ფუნქციები

გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული. გადაწყვეტილებების მიღების წესი გაწერილია, როგორც სკოლის დებულებაში, ისე სტრუქტურული ერთეულის საკუთარ დებულებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. აღსანიშნავია, რომ სკოლის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია თანხა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- კონკურსის გამოცხადების ვებ გვერდი: <https://teacherjobs.ge/?position=44&subject=&class=&school=208148930&district=>
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დებულება;
- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- მოსწავლეთა თვითმართვულობის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილების თანახმად შექმნილი ჰყავს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს და მომავალშიც განახორციელებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას, რომლის ფარგლებში მოხდება საჭიროებათა გამოვლენა და მასწავლებლებზე განმავითარებელი შეფასების მიცემა. სკოლამ წარმოადგინა კიდევ გაკვეთილზე დასწრების შეფასება. რაც შეეხება დანარჩენი თანამშრომლების შეფასებას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომელიც აღწერს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული საჭიროებების დადგენას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა „2023-2024 სასწავლო წლის შეჯამებისას, დასწრებული გაკვეთილების, კვლევების ანალიზის შედეგად სკოლამ შეიმუშავა პერსონალის განვითარების გეგმა 2024-2025 სასწავლო წელისთვის“, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ

პერსონალზე გაწერილია პროფესიული საჭიროების მიმართულება, პროფესიული განვითარების აქტივობა (ტრენინგი ან გამოცდილების გაზიარების აქტივობა) და განხორციელების სავარაუდო თარიღი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. კარიერულ ზრდას და პროფესიულ განვითარებას სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს. მაგალითად ერთ-ერთი მტკიცებულებაა ის, რომ როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების გეგმა და აღნიშნულ დოკუმენტს ერთვის ანგარიში - მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს ჩატარებული გამოცდილების გაზიარების შესახებ, რომელიც განახორციელა სკოლის მიერ მოწვეულმა სპეციალისტმა. ინტერნეტ ჟურნალ <https://mastsavlebeli.ge/> -ს სტატიების ერთ-ერთმა ავტორმა. თემა „კომპლექსური დავალება“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მე-13 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის ადაპტაციის პროგრამა. პერსონალის ადაპტაციის ეტაპები მოიცავს:

- ა) ახალი პერსონალისთვის სამუშაო სივრცის გაცნობას;
- ბ) ახალი პერსონალის წარდგენას სკოლის პერსონალისათვის;
- გ) შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, შრომითი ხელშეკრულებისა და სხვა ორგანიზაციულ-მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობას;
- დ) გაცნობითი ხასიათის მოკლე ტრენინგის ჩატარებას საქმისწარმოების სისტემის ან სხვა საჭიროების შემთხვევაში;
- ე) შპს სკოლა ლიცეუმი ლამპარი მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადაცემას;
- ვ) შესაძლებელია მენტორის მიჩენა და ა.შ. ინტეგრაციის პროცესში ჩართულია კათედრის თავმჯდომარე, დირექტორის მოადგილე და საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების წახალისებას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (მუხლი 18) გაწერილია, რომ სკოლა უფლებამოსილია ჩაერთოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში და უზრუნველყოს წინარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლაში დასაქმებულების აქტიური მონაწილეობის

წახალისება. აღსანიშნავია, რომ სკოლას ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს პერსონალის წახალისების ხარჯები. გარდა ამისა, სკოლა ხელს უწყობს პერსონალს აიმაღლოს თავისი კვალიფიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- გაკვეთილზე დასწრების მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;



2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (მექანიზმები და შეფასების ფორმები)“. (ორივე დოკუმენტი დამტკიცებულია ბრძანებით, N01-24, 25.12.2023). პირველი მათგანით განსაზღვრულია მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, რომელიც ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროგრამის მიმდინარეობისას;

ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ. აქვე აღწერილია ის ინსტრუმენტები - კითხვარების სახით, რომელიც შეფასებისას უნდა იქნეს გამოყენებული. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „5. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლა ამტკიცებს შეფასების ფორმებს, კერძოდ:

• მოსწავლის მიერ მასწავლებლის და სასწავლო საგნის შეფასების კითხვარი

• მასწავლებლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი

• მოსწავლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი

• ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი

• ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასების კითხვარი

• ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაწესებულების რესურსის შეფასების კითხვარი

• საშუალო საფეხურის მოსწავლეების შეფასების კითხვარი

• მასწავლებელი მოსწავლის თვალთ

• შეფასების კითხვარი

• მშობელთა გამოკითხვის ანალიზი და სტატისტიკა;

• მოსწავლეთა გამოკითხვის ანალიზი და სტატისტიკა;

• კითხვარი მასწავლებლებისთვის;

• პედაგოგის შეფასების ფორმა“.

მიუხედავად კითხვარების მრავალფეროვნებისა სკოლამ მხოლოდ მშობელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები (08.01.2021) კითხვარი და 2024 წელს 20-30 სექტემბერს ჩატარებული კვლევა წარმოადგინა. საიდანაც სრულყოფილად არ ჩანს სკოლის მიერ განხორციელებული შეფასების პროცესი.

მეორე დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ უფრო მრავალმხრივია და ხარისხის უზრუნველყოფის საფუძვლად განსაზღვრულია მიმართულებები რომელიც არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, არამედ ითვალისწინებს პერსონალის შერჩევის და შეფასების; მატერიალური რესურსების შეფასების; სკოლის საქმიანობის და სტრატეგიული გეგმის შეფასების; მოსწავლეთა მხარდაჭერი სერვისების, მათი შეფასებისა და დაუმჯობესების და სხვა მიმართულებების შეფასებასა და განვითარებას ითვალისწინებს. (იხ. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ ქვეთავი „ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულობები“ გვ. 2-3). დოკუმენტში ცალ-ცალკე, თითოეული მიმართულების მიხედვით გაწერილია შეფასებისა და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები, თუმცა, სკოლამ დოკუმენტის მიხედვით განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ/არ წარმოადგინა

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში გადმოაგზავნა დოკუმენტაცია, მათ შორის მასწავლებლების გამოკითხვების სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსის და განვითარების შეფასების კითხვარი; კათედრის ანგარიში, ხარისხის ჯგუფის სამუშაო გეგმა, ხარისხის ჯგუფის ანგარიში და ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტაციით სკოლა ადასტურებს განხორციელებულ აქტივობებს ხარისხის განვითარების მიმართულებით, რის გამოც ინდიკატორის ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, თუმცა არა ერთ კონკრეტულ დოკუმენტში, არამედ სხვადასხვა დოკუმენტში. კერძოდ: სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს სკოლის ძირითად საქმიანობას; ძირითად და მმართველობით პროცესები და მათი განვითარება აღწერილია „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში“, რომელშიც განსაზღვრულია რომ „დოკუმენტი შექმნილია სკოლაში – სკოლის შიდა საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის მიერ განათლების ხარისხის შიდა მართვისთვის, კერძოდ კი სწავლა-სწავლებისა და მართვის პროცესების შეფასების, გაუმჯობესების და დაწესებულების მდგრადი განვითარების მიზნით“. სკოლის დებულებაში და შინაგანაწესში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მოვალეობებით აღწერილია პროცესები და აქტივობები, რომლებიც მოიცავს როგორც მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესებს. ფაქტიურად სკოლას იდენტიფიცირებული აქვს

ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები. **სკოლას ეძლევა რჩევა:** სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები გააერთიანოს ერთ დოკუმენტში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესში 26-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ დისციპლინურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ღირებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში. ამავე დოკუმენტის 42-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, რომლის თანახმად სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატერდეს დადგენილი წესით და მასზე რეაგირება უნდა გააკეთოს სკოლის ღირებულება.

გარდა ამისა, „მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ განსაზღვრულია რომ 1. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის, სკოლისა უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. მიუხედავად ამისა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს საჩივრების მიღების ერთგვარი წესი, თუ როგორ და ვის უნდა მიმართონ საჩივრით, მაგრამ დოკუმენტში არ არის მითითებული საჩივრების განხილვის ვადა ან/და განხილვის შემდეგ გადაწყვეტილების გამოტანის ვადა, რაც მეტად გამჭვირვალეს გახდიდა საჩივრების სისტემას. **სკოლას ეძლევა რჩევა:** დოკუმენტში განსაზღვროს საჩივრების განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანის ვადები

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. დოკუმენტში აღწერილია მათი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ისეთი როგორიცაა განათლების მიღების უფლება; სკოლის მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება; საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების ცოდნის უფლება; გამოხატვის თავისუფლება; გასაჩივრების უფლება; შეკრების თავისუფლება; გაერთიანების თავისუფლება; ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; რწმენის თავისუფლება და სხვა

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დებულება
- „მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ხერხებს იყენებს. ერთ-ერთ საშუალებად იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, ასევე სკოლის/კლასების სოციალურ ქსელს, გამოიყენება სკოლის ვებ-გვერდი. გარდა ამისა, ასევე წარმატებით გამოიყენება სატელეფონო ინფორმირების ხერხი და ელექტრონული ჟურნალი. უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირებისთვის კლასების მიხედვით ხდება ინფორმაციის გაცემა და უკუკავშირის მიღება მშობელთა კრებებზე, სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მე-5 კლასში უცხოური ენის მშობლების მიერ არჩევის მტკიცებულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში და დასტურდება ამ სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობელთა კლუბის დებულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მშობელთა კლუბის დებულება;
- მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;



4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა) სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“; „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომელსაც ახლავს უსაფრთხოების დაცვის მიზნით სხვადასხვა სახის ინსტრუქციები: „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია“, „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია“, „კომპიუტერთან ჯდომის წესი“, „ელექტრობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ინსტრუქცია“ და სხვა.
- ბ) შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის სკოლას გაგზავნილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (დამტკიცებული 08.01.2024, N05/01 ბრძანება) და წერილი (N03/09, 29.08.2024) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით, თუმცა სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოდგენია შეთანხმებაზე დასტურის პასუხი.
- გ) სკოლის აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (2024 წლის 22 ოქტომბრის N03/25 წერილი).
- დ) სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა NN006510024 (რომელიც ახლავს ექსპერტიზის ბიუროს 2024 წლის 15 ოქტომბრის N006300824 წერილს). დასკვნის მიხედვით „სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც დამაკმაყოფილებელი და მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის საჭიროა დასკვნის კვლევით ნაწილში განხილული საკითხების დროული გადაწყვეტა“.
- ე) „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, სხვადასხვა სახის ინსტრუქციები. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დოკუმენტაციას ახლავს პერსონალის ინსტრუქქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალი და შეფასებული აქვს რისკები. სკოლას რადგან ჯერ არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ამიტომ, ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებელი არ არის.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში გადმოაგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 10 ოქტომბრის წერილი (MIA 1 24 03319086), რომლითაც სამსახური ატყობინებდა სკოლას, რომ სამსახურმა შეითანხმა სკოლის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რის გამოც ინდიკატორის ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას არ ჰყავს ექიმი, მაგრამ ჰყავს ექთანი. შენობის მეორე სართულზე (პირველი სართული სკოლას არ ეკუთვნის), განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/5/01-23/5 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“ და „სამედიცინო პერსონალის საქმიანობისა და სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ახორციელებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესის შესაბამისი შიდა მარეგულირებელ დოკუმენტი, რომელიც შესათენხმებლად გაგზავნილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომლის პასუხად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რესურსცენტრს ატყობინებს, რომ შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები რიგ მუხლებში შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს და სხვა შენიშვნები სამინისტროს არ გააჩნიაო (წერილი MES 0 22 0001480819, 21/11/2022). სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე განსაზღვრული ორი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. “უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების” ერთ-ერთი მიზანი სწორედ “ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა”, სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, განათლების სამინისტროს, მანდატურის ნომერები. სასკოლო გარემოს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მშობლები - ინტერვიუს დროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. „სამედიცინო პერსონალის საქმიანობისა და სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულებაში განსაზღვრულია, რომ სკოლის ექიმმა, ხოლო ექიმის არ არსებობის შემთხვევაში (მუხლი 4) სკოლის ექთანმა განახორციელოს „სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ“, გარდა ამისა, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლა დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რომელიც მომსახურეობის ხელშეკრულებით ასრულებს თავის მოვალეობას. მის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდზე და სკოლის ვებგვერდზე

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „კონფიდენციალობის პოლიტიკა“, რომელიც ითვალისწინებს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმების. დოკუმენტში განმარტებულია ვინ ამუშავებს, რა მიზნით, ვის შეიძლება გადაეცეს, როგორ ხდება მათი დაცვა. დოკუმენტში ძირითადად საუბარია პერსონალურ მონაცემებზე. **სკოლას ეძლევა რჩევა:** დოკუმენტში გაითვალისწინოს ისეთ ინფორმაციის დაცვა, როგორიცაა ელექტრონული ფოსტაზე, ელექტრონული ჟურნალზე, სკოლის ვებგვერდზე წვდომის ინფორმაცია (პაროლები), ასევე სკოლის შესასვლელი კარის კოდის და სხვა ისეთი სახის ინფორმაციის დაცვა, რომელიც ხელს შეუშლის სკოლის ნორმალურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. სკოლას დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“; სკოლა უსაფრთხოების დაცვის მიზნით პერსონალს აცნობს სხვადასხვა სახის ინსტრუქციებს „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია“, „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია“, „კომპიუტერთან ჯდომის წესი“, „ელექტრობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ინსტრუქცია“, პერიოდულად ახორციელებს რისკების შეფასებას, რომლის შედეგებსაც იყენებს აღნიშნული უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შესათანხმებლად გაგზავნილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და წერილი;
- სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა;
- ექთნის პირადი საქმე;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი დაცვის წესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს მე-2 და მე-3 სართულის 974,58 კვ.მ. ფართს შენობაში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა N10 საჯარო რეესტრის ამონაწერში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.010.009.01.501) მითითებულია, რომ იჯარის საბოლოო თარიღია 31.12.2029. შენობის მესაკუთრეა შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“ (ID 405007200) შენობის მეორე და მესამე სართულზე საერთო ჯამში 12 საკლასო ოთახია. შენობაში, ასევე, არის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დარბაზი, სასადილო ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი. სკოლას აქვს მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის მატერიალური რესურსი, მათ შორის ინდივიდუალური მერხები, კომპიუტერები და სასწავლო რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას დამკვიცებული აქვს მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. წესში გაწერილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, კომპიუტერული ლაბორატორიის, სპორტული ინფრასტრუქტურის და ბიბლიოთეკის თანასწორუფლებიანი გამოყენების პრინციპები და წესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ორ ოთახში, ერთ მათგანში წიგნსაცავია, მეორეში სამკითხველო. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც აღწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წიგნები დალაგებული ანბანური წესით. საინვენტარო წიგნის

მიხედვით ბიბლიოთეკაში 2290 მხატრული, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაა. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, სკოლაში მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი, ქუჩიდან შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, კიბეებზე განთავსებული ასაკეცი პანდუსები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ხშირად გამოიყენება კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილად. სკოლის საკონფერენციო დარბაზში ხშირად იმართება დისკუსიები მოსწავლეთა ჩართულობით. სკოლაში ხდება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ასევე მოსწავლეთა მშობლებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 01.19.20.010.009.01.501);
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლაში არის 21 კომპიუტერი და ლეპტოპი. სკოლას აქვს პრინტერები, ქსეროქსები და პროექტორები. ხელმისაწვდომია ინტერნეტი, მათ შორის უკაბელო ინტერნეტი. სკოლის ინფორმაციულ ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ნაწილია ვებ-გვერდი, რომელიც ასევე ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი. წესის მიხედვით ლაბორატორიით სარგებლობის უფლება აქვს მოსწავლეს, მასწავლებელს და სკოლის სხვა თანამშრომელს. დადგენილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების წესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი;
- სკოლის ვებ-გვერდი: <https://itdlampari.ge>.



3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს “საქმისწარმოების წესი”. სკოლას განსაზღვრული აქვს სამი ტიპის დოკუმენტი: ა) შემოსული ბ) გასული; გ) ბრძანებები. განსაზღვრულია წესი, რომელი დოკუმენტი რა რეკვიზიტებს უნდა მოიცავდეს და როგორ უნდა დარეგისტრირდეს. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალები. სკოლა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მიმდინარე (2024) წლის სექტემბრიდან დაიწყო სლექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა, აღარ ახდენენ მატერიალური სახით დოკუმენტების რეგისტრაციას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას საქმისწარმოების წესში განსაზღვრული აქვს, რომ სამივე ტიპის დოკუმენტი უნდა აღრიცხოს ჟურნალებში მატერიალურად. კერძოდ შემოსულ დოკუმენტაციის აღრიცხვა განსაზღვრულია მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში, გასულ დოკუმენტაციის აღრიცხვა - მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითაა განსაზღვრული, ხოლო ბრძანებების რეგისტრაცია მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით. აქედან გამომდინარე, რადგან სკოლა არ ახორციელებს საკუთარი საქმისწარმოების წესის მოთხოვნებს - არ აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალებს სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოაგზავნა სარეგისტრაციო ჟურნალების ასლები, რის გამოც ინდიკატორის ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

2. სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ელექტრონულ ჟურნალს (edupage), ელექტრონულ ფოსტას, სოცსელების დახურულ ჯგუფებს. მიმდინარე (2024) წლის სექტემბრიდან დაიწყო ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა, რისთვისაც ხელშეკრულება გააფორმა შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“ ელექტრონული ჟურნალის გარდა, დამატებით ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებაზე. ვიზიტის პერიოდში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას გატარებული ჰქონდა შემოსული და გასული კორესპოდენცია (ცალ-ცალკე) და სამი ტიპის ბრძანებები (მოსწავლეთა, საკადრო და საერთო დანუშნულების).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო echool.emis.ge სისტემაში. სკოლამ გადმოაგზავნა სისტემაში შესული პროფილის “ეკრანული ანაბეჭდი” (ე.წ. screenshot). ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა “შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი”. პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად მოთხოვნილ ინფორმაციას აწვდის ადგილობრივ რესურსცენტრს, თვითშეფასებას აწვდის სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე ანგარიშვალდებულება ან/და ინფორმაციის მიწოდება განათლების სისტემის სხვადასხვა უწყებასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;



4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
